საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION
+995 032 00 10 00
info@ag.ge
www.ag.ge

N გ-1737
04/06/2024

1737-გ-2-202406041033

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

შპს „საქართველოს მელიორაციაში“ შემოსულია სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 13.03.2024 წლის N6/14171 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ გამარჯვებაში მდებარე 29900კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.07.04.3302) პრივატიზების შესახებ.

წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზით და საკითხის ადგილზე შესწავლით დადგინდა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვართან გადის დაურეგისტრირებელი არხი, ხოლო ნაკვეთის ჩრდილოეთ საზღვრიდან შემოდის მიწისქვეშა წყლის მილი (დ=1200მმ), ასევე საპრივატიზაციო ნაკვეთის არეალში ფიქსირდება ხევი (კოლექტორი).

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ 29900კვ.მ. მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთით მდებარე შპს „საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალში (ბალანსზე) რიცხულ ქვემო მაგისტრალურ არხზე (ს/კ 81.00.212) მოწყობილი ღვარსაშვის მეშვეობით, მიწისქვეშა ფოლადის მილით (დ=1200მმ) ჩაედინება ნაკვეთის საზღვრებში მდებარე ხევში წვიმის შედეგად წარმოქმნილი ზედაპირული და ნაჟური წყლები, საიდანაც ნაწილდება მიწის ნაკვეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვართან მდებარე სანიაღვრე დანიშნულების არხებში, რომლის გაუქმება ან გამტარუნარიანობის (კვეთის) შემცირება ყოვლად დაუშვებელია, რადგან აღნიშნული გამოიწვევს, როგორც კომპანიის კუთვნილი ინფრასტრუქტურის დაზიანებას, ასევე საპრივატიზაციო და მიმდებარე მიწის ნაკვეთების დატბორვას.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ნაკვეთის (ს/კ 81.07.04.3302) რაიმე ფორმით გასხვისების შემთხვევაში შენარჩუნებული უნდა იქნას ღვარსაშვიდან ხევის გავლით სანიაღვრე არხებში წყლის ჩაშვება. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნაკვეთის საზღვრებში მოქცეული სამელიორაციო დანიშნულების ინფრასტრუქტურა დატვირთულ იქნას სერვიტუტით.

დანართი: 1 ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი ხუბუა

ექსპლუატაციის დირექტორი